ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N

ქ. თბილისი
_____ივნისი, 2023 წელი

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი“, აღმასრულებელი დირექტორის ვახტანგ ბურკიაშვილის სახით
მისამართი: თბილისი, 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო 1
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148

მიმწოდებელი: ს.ს.ი.პ. „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო“, დირექტორის გიორგი კობიაშვილის სახით;
მისამართი: თბილისი, გურამიშვილის ჩიხი, N5;
ტელ: 032421414; 577958777;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205 316 399;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში:TRESGE22; შემოსავლის კოდი:743 107 499;

ერთი მხრივ შემსყიდველი და მეორე მხრივ, მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-141 დადგენილების შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის (მდებარე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72) მიმდებარე ტერიტორიაზე ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ქმედებების (სპეციალური საწინააღმდეგო პრეპარატებით დამუშავება) მომსახურების (შემდგომში „მომსახურება“) (CPV კოდი: 90922000) შესყიდვა, დანართის N1-ის და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
1.2. დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი.
2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 2 ეტაპად არაუგვიანეს 2023 წლის 30 სექტემბრისა.
3.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.3. მომსახურების მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
3.4. შემსყიდველის მხრიდან 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1960.00 (ერთი ათას ცხრაას სამოცი) ლარს („ხელშეკრულების ფასი“).

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
4.3. მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდა ხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის (საგადასახადო ა/ფაქტურა და/ან სხვა) წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიწოდებული შესყიდვის ობიექტი.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.
5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს მისი ღირებულება.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 20%-ის ოდენობით.
6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
6.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
6.4. საჯარიმო სანქციების გადახდა შესაძლებელია მოხდეს მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
6.5. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,02%–ის ოდენობით.
6.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
6.7. იმ შემთხვევაში, თუ 6.2. პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 5%–ს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით. ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნება 6.1. ან 6.3. პუნქტით გათვალისწინებული სანქციები.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სულ მცირე 30 დღის განმავლობაში მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულების დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

11. ზოგადი დებულებები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

11.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია მხარეთა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ვახტანგ ბურკიაშვილი _____	**გიორგი კობიაშვილი** _____
საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი	სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

Giorgi Kobiashvili 01008042951
Digitally signed by Giorgi Kobiashvili
Date: 2023.06.26 16:15:03

დანართი №1

მომსახურება ივლისისა და აგვისტოს თვეში უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესაბამისად, კერძოდ:

რეპელენტით ტერიტორიის დამუშავება მოიცავს:

1. რეპელენტით ტერიტორიის დამუშავება გულისხმობს სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, სპეციალური აღჭურვილობით და პრეპარატებით, პირის განცხადებისა და განსაზღვრული საფასურის გადახდის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებს, რომლებიც მოიცავს:
   ა) ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსოების დათვალიერება-შესწავლას;
   ბ) ჩასატარებელი სამუშაოების შინაარსის, სახეობების, მოცულობის და გრაფიკის განსაზღვრას, გეგმის შედგენას და მის შეთანხმებას პირთან;
   გ) ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით, დამაფრთხობელებით და სხვა ქმედებებით ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსოების დამუშავებას;
   დ) დამუშავების პროცესში დაფიქსირებული ქვეწარმავლების დაჭერას.
2. დაჭერას ექვემდებარებიან მხოლოდ ის ქვეწარმავლები, რომელთა დაჭერა სცილდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ცხოველთა სავალდებულო დაჭერის საფუძვლებს.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გეგმის შედგენის პროცესში, აუცილებელია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტისგან (შემდგომში - ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტი) მიღებული ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზის გათვალისწინება.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების შედეგად დგინდება ჩასატარებელი სამუშაოების შესაბამისი კატეგორია: **ა) „პირველი კატეგორია“,** რაც ამ წესის მიზნებისთვის გულისხმობს ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით, სასხურებელი აპარატის საშუალებით, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასხურების მეთოდით, პრეპარატის შესხურებას წვრილი ჭავლით ან გამაფრქვევლით, დასაცავი ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსოების გარშემო, წინასწარ განსაზღვრულ პერიმეტრზე;

სააგენტოს მიერ, რეპელენტით ტერიტორიის დამუშავების საფასური, სამუშაოების კატეგორიების მიხედვით, ერთი კვადრატული მეტრის ფართობზე განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) “პირველი კატეგორიის სამუშაოები” - **0,07 ლარი.**

№	მომსახურების აღწერილობა	მდებარეობა	დასამუშავებელი ფართი (კვ.მ)	დამუშავებ-ის ჯერადობა	ერთეულის ფასი (კვ.მ) (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ქმედებების (სპეციალური საწინააღმდეგო პრეპარატებით დამუშავება) განხორციელება	საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრი, კახეთის გზატკეცილი №72	14000	2	0,07	1960.00
ჯამი:						**1960.00**

შემსყიდველის მხრიდან:

ვახტანგ ბურკიაშვილი _____

Digitally signed by LEPL National Bank Of Georgia
Date: 2023.06.26 16:25:11 +04'00'

საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი

ბ.ა.

მიმწოდებლის მხრიდან:

გიორგი კობიაშვილი _____

სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორი

ბ.ა.